1530

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
14 მარტი
1942 წ.
№ 62 (6378)
ფასი 15 კაპ.

მეცხოველეობის შემდგომი ზრდის საბრძოლო პროგრამა

დღეს „პრავდაში" ქვეყნდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ". ეს დადგენილება საბრძოლო პროგრამაა მეცხოველეობის — კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოების იმ უმნიშვნელოვანესი დარგის შემდგომი განვითარებისა, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა დიდი სამამულო ომის დღეებში.

საბჭოთა ქვეყანა და უწინარეს ყოვლისა წითელი არმია გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობას. კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი მოწოდებული არიან სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობით მოამარაგონ ზურგი და ფრონტი მეცხოველეობის პროდუქციით. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა შეავსონ ის ზარალი, რომელიც მეცხოველეობამ ნახა გერმანელ დამპყრობთა მიერ ოლქებისა და რესპუბლიკების ნაწილის დროებითი ოკუპაციის გამო.

სოციალისტურ სასოფლო მეურნეობას აქვს უდიდესი შესაძლებლობანი საქონლის სულადობის გასადიდებლად, ჯოგის ხარისხისა და მისი პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად. მთავრობამ და პარტიამ ყველა პირობა შეჰქმნეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის განუწყვეტელი აღმავლობისათვის. თუ რა დიდი ძალა აქვთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, თუ რა დიდი რეზერვები მოეპოვებათ მათ, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს 1941 წლის შედეგები.

საომარი ვითარების მიუხედავად, იმ მედგარი და სასტიკი ბრძოლის მიუხედავად, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გასულ წელს ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვის შემდგომ ზრდას მიაღწიეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 1941 წელს კოლმეურნეობებში 1,3 პროცენტით გაიზარდა, აქედან ძროხისა—8 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—12,9 პროცენტით, ღორისა — 2,3 პროცენტით. მეცხოველეობაში წარმატებებს მიაღწიეს თურქმენეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებმა, ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკამ, კიროვის ოლქმა, ხაბაროვსკის მხარემ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი შეიძლებოდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ჩვენს ქვეყანასა და წითელ არმიას შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტი პროდუქტები მიეღოთ, რომ ყველგან, თითოეულ ოლქსა და მხარეში, დაუცხრომლად მუშაობდნენ მეცხოველეობის განმტკიცებისათვის, როგორც ამას ომიანობის სასტიკი დრო მოითხოვს. როგორც სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან ჩანს, მთელი რიგი ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები (მაგალითად, ჩელიაბინსკისა და ნოვოსიბირსკის ოლქები, ალტაის მხარე) დღემდე კვლავ ჩამორჩებიან; მსხვილფეხა რქიანი და სხვა საქონლის სულადობა აქ 1941 წელს შემცირდა. აქ დაშვებულ იქნა მოზარდეულის მნიშვნელოვანი გაწყდომა. ამ ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ მეცხოველეობას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1942 წელს მეცხოველეობის განვითარების გეგმა და თითოეულ რესპუბლიკასა და ოლქს, თითოეულ მხარეს კონკრეტული დავალებანი დაუწესეს ცალკეულ სახეთა პირუტყვისათვის. ეს გეგმა ნაკარნახევია ომიანობის ვითარებით, იმ ამოცანებით, რომ წითელი არმია, ქალაქები და სამრეწველო ცენტრები მომარაგებულ იქნან ხორცით, ერბო-კარაქითა და სხვა პროდუქტებით, და იგი განუხრელად უნდა იქნას შესრულებული ყველგან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნაჩვენებია საქონლის სულადობის ახალი მნიშვნელოვანი გადიდების გზები და საშუალებანი. ეს არის უწინარეს ყოვლისა მოზარდეულის სრული შენარჩუნება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე იმ მოზარდეულისა, რომელიც კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად სარგებლობაშია. წინა წლებში მოზარდეულს ცუდად იყენებდნენ ჯოგის მოსამრავლებლად. მაგალითად, 1940 წელს კოლმეურნეობებში მიღებული მთელი ნამატიდან საქონლის სულადობის შევსებას ხბოების მხოლოდ 61 პროცენტი და ბატკნების 57 პროცენტი მოხმარდა; დანარჩენი მოზარდეული გაიიავეს, დაჰკლეს ან ცუდი მოვლის გამო გაწყდა. აღმოვფხვრათ ეს სერიოზული ნაკლი მეცხოველეობაში, მივაღწიოთ თითოეული ხბოს, ბატკნის, გოჭის შენარჩუნებას—ეს იმას ნიშნავს, რომ დამატებით გამოვზარდოთ მილიონობით სული საქონელი, დამატებით მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და წითელ არმიას ბევრი ხორცი, მატყლი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

1942 წელს კოლმეურნეობებმა უნდა შეისყიდონ 2.300 ათასი სული მოზარდეული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 2.300 ათასი სული ცხვარი, ამასთან უნდა მოახდინონ წინასწარი კონტრაქტაცია კოლმეურნეებთან, მუშებთან და მოსამსახურეებთან კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებლად. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან დიდი ყურადღება მიაქციონ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცეს კოლმეურნეობებს არ დაჰკლან და არ გაჰყიდონ ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, გარდა აშკარად წუნიანი მოზარდეულისა, რომელიც შეიძლება დაიკლას და გაიყიდოს მხოლოდ რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების ვეტერინარ-ზოოტექნიკური მუშაკების მხრივ წუნდების შემდეგ. ეს ღონისძიება იმისკენ არის მიმართული, რომ უზრუნველყოფილ იქნას საქონლის სულადობის სწრაფი ზრდა და საზოგადოებრივი მეცხოველეობისაგან კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის გადიდება.

კოლმეურნეებს რჩევა მიეცათ არ დაჰკლან ერთ წლამდე ასაკის მსხვილფეხა რქიანი მოზარდეული საქონელი; ეს მოზარდეული უნდა შეინარჩუნონ როგორც თავისი კოლმეურნეობისათვის და უძროხო კოლმეურნეებისათვის მისაყიდად, ისე თავისი საჭიროებისათვის უფრო მეტ ასაკში დასაკლავად. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის მზრუნველობით არის გამსჭვალული გადაწყვეტილებაც იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებმა სახორცედ არ დაკლან ერთ წელზე ნაკლები ასაკის თოხლი და ჰედილა.

ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელები აჰყვნენ ჩამორჩენილ, წამგლეჯ ელემენტებს და ანიავებდნენ საზოგადოებრივ პირუტყვს, რითაც უდიდეს ზიანს აყენებდნენ კოლმეურნეობებს. ეს შეუწყნარებელი იყო მაშინ და მით უფრო შეუწყნარებელია ახლა, ომის პირობებში. კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის განიავება რომ შესწყდეს, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესეს, რომ მოზრდილი საქონლის დაკვლა და გაყიდვა ომის განმავლობაში, გარდა ძალაუნებური დაკვლისა, შეიძლება მოხდეს მხოლოდ რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილების ნებართვით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს მიცემული აქვთ დიდმნიშვნელოვანი, პასუხსაგები დავალებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენისა და მუშა ხარის სულადობის შემდგომი გადიდების დარგში. ომის პირობებში ცხენის როლი განუზომლად გაიზარდა. ფრონტს მაგარი, ამტანი ცხენები სჭირდება. დიდი მუშაობა უნდა შეასრულონ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ცხენებითა და მუშა ხარებით მიმდინარე წელს, განსაკუთრებით გაზაფხულზე. არ უნდა იყოს არც ერთი ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომ არ ზრუნავდეს ცხენისა და ხარის სულადობის მომრავლებისათვის, რომ არ უფრთხილდებოდეს მუშა-საქონელს.

პროდუქტებით ფრონტისა და ქვეყნის მომარაგების, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლიანობის გადიდების სერიოზულ წყაროს წარმოადგენს მეკურდღლეობა და მეფრინველეობა. ფრინველის მოშენებას ახლა თითქმის ყველა კოლმეურნეობა ეწევა. მაგალითად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რუსეთის სფს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოწყობილია მეფრინველეობის 100 ათასზე მეტი ფერმა. ყაზახეთში ფრინველის სულადობა უკანასკნელი წლის მანძილზე ერთიორად გაიზარდა. მოწინავე კოლმეურნეობანი საკუთარ ინკუბატორიუმებს აწყობენ. სწარმოებს მეფრინველეობის ფერმების აღდგენა გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში. ნაკლები ყურადღება ექცევა ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეკურდღლეობას, თუმცა იგი მეტად ხელსაყრელია. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაწესებულია მატერიალური სტიმულები მეკურდღლეობის განსავითარებლად.

ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება უდიდესი შესაძლებლობანი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, კერძოდ შუა აზიაში და საბჭოთა კავშირის სხვა მთიან და ველიან რაიონებში. აქ შეიძლება ფართოდ მოეწყოს საქონლის საძოვრებზე გარეკა. მაგალითად, წელს ყაზახეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საზამთრო საძოვრებზე 2 მილიონამდე სული საქონელი გარეკეს. ასობით მოწინავე კოლმეურნეობებმა საზამთრო საძოვრებზეც შეჰქმნეს საკვების საჭირო სადაზღვევო მარაგი, ბინებით უზრუნველჰყვეს თავისი ჯოგები სიცივისა და ავდრისაგან დასაცავად, თავის დროზე გადარეკეს საქონელი და ახლა სავსებით რიგიანად ატარებენ გამოზამთრებას. მრავალი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქონელი მნიშვნელოვნად გასუქდა საზამთრო საძოვრებზე. საქონლისა და ცხენების საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გარეკა და შენახვა პირუტყვის სულადობის გადიდების და მეცხოველეობის იაფი პროდუქციის მიღების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის განვითარებაში, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში დიდი როლი ეკუთვნით რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს. ისინი უნდა ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს გეგმების შესრულებაში, მომთხოვნელნი უნდა იყვნენ მათი ხელმძღვანელებისადმი. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკებს პრემიები დაუწესეს კარგი მუშაობისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდ პასუხისმგებლობას, დიდ მოვალეობებს აკისრებს ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს. საქმის წარმატება დამოკიდებული იქნება მათს მუშაობაზე, მათს უნარზე—დარაზმონ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებათა განსახორციელებლად, მობილიზაცია უყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა შინაგან რეზერვებს.

მთავრობა და პარტია პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ სისტემატურად შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ", მიიღონ ზომები იმისათვის, რომ უეჭველად შესრულდეს საქონლის სულადობის ზრდის დასახული გეგმა.

ეს არის წარმატების საწინდარი.

საბჭოთა გლეხობა არაფერს არ იშურებს წითელი არმიისათვის, ეხმარება მას გაანადგუროს კაციჭამია ჰიტლერის ურდოები, გასწმინდოს მშობლიური მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. კოლმეურნე კაცები და ქალები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და მუშა ქალები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მეცხოველეობის შესახებ უპასუხებენ ახალი კონკრეტული საქმეებით, ახალი წარმატებებით მეცხოველეობის ფერმებში და კიდევ უფრო მეტ ხორცს, ერბო-კარაქსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს მისცემენ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს.

„პრავდის" მოწინავე, 13/III.

უკანასკნელ საათს

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების ნადავლი 1942 წლის 22 თებერვლიდან 10 მარტამდე

22 თებერვლიდან 10 მარტამდე **ჩრდილოეთ-დასავლეთის** ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 157 ქვემეხი, 20 ტანკი, 75 ნაღმსატყორცნი, 329 ტყვიამფრქვევი, 26 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2 ათასზე მეტი შაშხანა, ერთი თვითმფრინავი, 617 ავტომანქანა, 354 მოტოციკლი და ველოსიპედი, 12 რადიოსადგური, 5 ათასზე მეტი ნაღმი, 6 ათასი ყუმბარა, 1,345 გრანატი, 1.500.000-მდე შაშხანის ვაზნა, რამდენიმე ყუთი ფეთქებადი ნივთიერება, 1 პროჟექტორი, 109 პარაშუტი, 300 წყვილი თხილამური, 8 ტრაქტორი-საწევარი, 8 სალაშქრო სამზარეულო, 226 ცხენი საზიდრებიანად, 300 რკინის კასრი და 70 ბიდონი ბენზინიანად, ერთი ბენზინსასხმელი მოწყობილობა, 2 ორთქლმავალი, სამხედრო საჭურვლით დატვირთული 14 სარკინიგზო ვაგონი, 5 საწყობი სხვადასხვა სამხედრო ქონება და მრავალი სხვა სამხედრო ქონება და საჭურველი.

ამავე ხნის განმავლობაში **მოსპობილია**: გერმანელთა 91 თვითმფრინავი (აქედან 60 სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი), 67 ქვემეხი, 27 ნაღმსატყორცნი, 150-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 14 ტანკი, 17 სარკინიგზო ვაგონი ტვირთიანად, 169 ავტომანქანა, 78 საზიდარი, 18 საწყობი, მათ შორის საწვავის საწყობი და საომარი მასალების 3 საწყობი.

22 თებერვლიდან 10 მარტამდე გერმანელებმა ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტის რაიონში მოკლულთა სახით დაჰკარგეს სულ მცირე 14.000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულია 84 დასახლებული პუნქტი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

13 მარტის დილის ცნობა

12 მარტის ღამის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე საბჭოთა ჯარები აქტიურ მოქმედებას ეწეოდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა მსროლელმა ბატალიონმა ღამის მედგარი ბრძოლის შემდეგ მტრის წინააღმდეგობის მნიშვნელოვანი კვანძი დაიკავა. გერმანელებმა ასობით მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე და უკან დაიხიეს. სხვა უბანზე ჩვენმა მსროლელმა ნაწილმა დღის განმავლობაში უკუაგდო რამდენიმე კონტრიერიში მტრისა, რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა წინათ დაკარგული პოზიციები. გერმანელებმა 200-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს ბრძოლის ველზე და იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგობის დაძლევის შემდგომ ცდაზე.

* * *

ჩვენმა ნაწილებმა, რომელნიც ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედებენ, ერთი დღის ბრძოლებში დახოცეს 1.120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი არტილერიის ძლიერი დაშენის შედეგად დანგრეულ იქნა 7 მიწური საცეცხლე წერტი, 12 ბლინდაჟი და მიწური, მოსპობილ იქნა 4 ტყვიამფრქვევის ბუდე და რამდენიმე ავტომანქანა საომარი მასალიანად და სურსათ-სანოვაგიანად.

* * *

ჩვენმა მეომრებმა, რომელნიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, ერთი დღის განმავლობაში მოსპეს 420 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, გაანადგურეს 38 საზიდარისაგან შემდგარი ალალი და ხელთ იგდეს იარაღი და საველე ფოსტა.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე უმცროსმა ლეიტენანტმა ბამბულმა შაშხანით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

მე-17 ქვეითი დივიზიის 55-ე ქვეითა პოლკის მე-13 ასეულის ფელდფებელმა ფრიდრიხ ემტერმა განაცხადა: „ჩვენმა ასეულმა ამ ბოლო დროს თითქმის მთელი მატერიალური ნაწილი დაჰკარგა. ექვსი 75-მილიმეტრიანი და ორი 150-მილიმეტრიანი ზარბაზნიდან მხოლოდ ერთი 75-მილიმეტრიანი და ერთი 150-მილიმეტრიანი ზარბაზანი დარჩა. დანარჩენი ქვემეხები ან მოსპობილ იქნა, ანდა ჩვენ მივატოვეთ უკან დახევის დროს. ასევე დიდი დანაკლისია ცოცხალი ძალის მხრივ. 180 კაციდან ჩვენს ასეულში მხოლოდ 40 დარჩა. სხვა ასეულებში დანაკლისი კიდევ უფრო დიდია. ომის უკანასკნელმა თვეებმა ძირფესვიანად შესცვალა ჩვენი შეხედულება რუსეთის არმიაზე. ახლა ოფიცრებიც კი აღარ იხსენებენ ჰიტლერის განცხადებას გამარჯვების მალე მიღწევის შესახებ".

* * *

ფინეთის არმიის ტყვე კაპრალმა მატი აგუსტ რიუხიანენმა განაცხადა: „ამ ცოტა ხნის წინათ ისევ შეგვიმცირეს ულუფა. პროტესტის ნიშნად ჩვენი ოცეული დემონსტრატიულად არ გავიდა მეცადინეობაზე. არ ვიცი, რით გათავდა საქმე, რადგან მალე ტყვედ მოვხვდი".

* * *

გერმანელთა მე-4 სატანკო დივიზიის 103-ე საარტილერიო პოლკის ეფრეიტორმა ჰეინო ენდელმანმა განაცხადა: „ჩვენ, 16 გერმანელი ჯარისკაცი, სოფელ კ-ში გავემგზავრეთ პროდუქტების საშოვნელად. სოფელთან ტყვიამფრქვევი და შაშხანა დაგვიშინეს რუსმა პარტიზანებმა. მე თოვლში გავწექი. როდესაც თავი ავწიე, დავინახე, რომ ჩვენი 14 ჯარისკაცი მოკლულია. მე და ჩემი ამხანაგი რიზნერი [illegible] ნებდით ტყვედ".

* * *

კარპატის რუსეთის პარტიზანები თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან უნგრელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. პარტიზანული რაზმი, რომელიც დაბა ზ-სთან მოქმედებს, უკანასკნელი თვის განმავლობაში 5-ჯერ დაესხა თავს სურსათის ტრანსპორტებს, ააფეთქა იარაღის 2 საწყობი, ცეცხლი წაუკიდა რკინიგზის 9 საწვავიან ცისტერნს, მოსპო 17 სატვირთო ავტომანქანა და გაჟლიტა 100-მდე ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა პარტიზანულმა რაზმმა დაბა კ-სთან ააფეთქა რკინიგზის საწვავიანი ცისტერნების ეშელონი, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მოდიოდა. დაბა ბ-ს მახლობლად პარტიზანული რაზმი ღამით თავს დაესხა უნგრელთა სატანკო კოლონას და საწვავიანი ბოთლებით ცეცხლი წაუკიდა 11 ტანკს. ბრძოლამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა. უნგრელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს 60 ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანები თავს დაესხნენ აეროდრომს და მოსპეს უნგრელთა 3 თვითმფრინავი. რკინიგზის ერთ ვაგზალში პარტიზანებმა ცეცხლი გაუჩინეს ქვანახშირის საწყობს და ააფეთქეს სამხედრო ქონების საწყობი. ს-ს მახლობლად პარტიზანებმა ხელთ იგდეს უნგრელთა სურსათ-სანოვაგის ტრანსპორტი და ადგილობრივ დამშეულ მოსახლეობას დაურიგეს პროდუქტები.

* * *

ლაუტში (გერმანია) ალუმინის ქარხანაში მღელვარება დაიწყო უცხოელ მუშებს შორის. მუშებმა ქარხანა გააჩერეს და მრავალი რთული მანქანა გააფუჭეს. ჰიტლერელებმა გაფიცვა იარაღით ჩააქრეს. გესტაპოელებმა ხუნდები დაადეს ყველა პოლონელს, იტალიელსა და ფრანგს. ნორმების შეუსრულებლობისათვის უცხოელ მუშებს საჯაროდ სწკეპლავენ.

13 მარტის საღამოს ცნობა

13 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლას განაგრძობდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ და წინ წაიწიეს. ფრონტის ზოგიერთ უბანზე მტერი კონტრიერიშებზე გადმოდიოდა, რომლებიც მოგერიებულ იქნა; მტერს დიდი ზარალი მიუვიდა.

12 მარტის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 24 თვითმფრინავი. ჩვენ 7 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

12 მარტის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს და დააზიანეს 110-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, საომარი მასალით დატვირთული 65 საზიდარი, 39 ქვემეხი, 12 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, 23 ნაღმსატყორცნი, ააფეთქეს 2 საწყობი საწვავი და ერთი საწყობი საომარი მასალა, დაამსხვრიეს რკინიგზის 15 ვაგონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენმა ნაწილმა, რომელსაც ამხ. იოვლევი მეთაურობს (დასავლეთის ფრონტი), უკანასკნელ დღეებში გერმანელებისაგან გაათავისუფლა 11 დასახლებული პუნქტი. მტერს დიდი ზარალი მიუვიდა. ჩვენმა ნაწილმა ხელთ იგდო დავლა, კერძოდ 3 მსუბუქი და 12 სატვირთო ავტომანქანა, 2 ქვემეხი, 3 ტყვიამფრქვევი, 1 ტრაქტორი, 4 სამზარეულო, 20 კილომეტრი ტელეფონის კაბელი და სხვა სამხედრო ქონება. სხვა უბანზე ჩვენი გვარდიის ნაწილმა მოსპო გერმანელთა ნაღმსატყორცნი ბატარეა, 4 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე საზიდარი სამხედრო ტვირთიანად.

ბრძოლის ველზე მტრის 100-ზე მეტი გვამი დარჩა.

* * *

ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებიც ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, ერთი დღის განმავლობაში დაანგრიეს 39 ბლინდაჟი და მიწური, მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი, 10 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი და 3 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. არტილერიის ცეცხლით განადგურებული და მოსპობილია მტრის 5 საარტილერიო და 6 სანაღმსატყორცნო ბატარეა. ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 500-ზე მეტი მოკლული, 3 ქვემეხი, 38 ტყვიამფრქვევი, 360 ყუთი თოფის ვაზნა და 2.000 ნაღმი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და დაიკავეს 2 დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს გერმანელთა 10 ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი, 5 რადიოსადგური, საომარი მასალის საწყობი, დიდძალი შაშხანა და სხვა საჭურველი. სოფლების ქუჩებში მტრის ბევრი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. წამოყვანილია ტყვეები. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის 250 ჯარისკაცი. როგორც ტყვეებმა განაცხადეს, შეტევის დაწყების წინ ოფიცრებმა ბევრი ჯარისკაცი დახვრიტეს იმისათვის, რომ მათ უარი განაცხადეს ბრძოლაში წასვლაზე.

* * *

ჯარის ნაწილმა, რომელსაც ამხ. კაზრეევი მეთაურობს (ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი), მტრის გარნიზონი გაანადგურა და ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავა. სოფლის მისადგომებთან და ქუჩებში მტერს 270-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დარჩა. ჩვენმა ნაწილმა ხელთ იგდო 50 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად, 150 ველოსიპედი, 12 მოტოციკლი, 4 ქვემეხი და საომარი მასალისა და სურსათის საწყობი.

* * *

საზენიტო გუნდმა, რომელსაც ამხ. პენკოვი მეთაურობს, რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანიის 2 ბომბდამშენი ჩამოაგდო.

* * *

ლენინგრადის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში ამხ. კ-ს მეთაურობით მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა იმ დროს მოაწყო რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება, როდესაც იქ გერმანიის სამხედრო ეშელონებს უნდა გაევლოთ. სავსებით დაიმსხვრა გერმანიის 2 მატარებელი, რომლებიც დატვირთული იყო ტანკებითა და არტილერიით და რომლებითაც ჯარები გადაჰყავდათ.

* * *

მე-17 ქვეითი დივიზიის 55-ე პოლკის მე-9 ასეულის ტყვე ჯარისკაცმა არტურ ფრისმა განაცხადა: „აღმოსავლეთის ფრონტზე 1942 წლის იანვრის დამლევს ჩამოვედი და სულ რაღაც 8 დღე ვიყავი ბრძოლაში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ასეულში 48 კაციდან მოკლული და დაჭრილია 30 კაცი. ასეთ დიდ ზარალთან დაკავშირებით, ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება მეტად ცუდია. ჩვენი—შევსების ჯარისკაცების—უმრავლესობა 30-დან 40 წლამდე ასაკის ხალხია. ჩვენ ძალიან ცუდად ვართ გაწრთვნილი, მე, მაგალითად, ცოტადთუბევრად მასწავლეს შაშხანის სროლა. სხვა იარაღის ხმარება კი არ შემიძლია. იმ ეშელონში, რომლითაც რუსეთში ჩამოვედი, თითქმის ყველა ისეთი ჯარისკაცი იყო, რომლებსაც ჰქონდათ სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების მოწმობა, როგორც სამხედრო საწარმოებში მომუშავე პირებს. ახლა ვადის მხრივ ყოველგვარი შეღავათი გაუქმებულია და ისინი ფრონტზე მოხვდნენ".

* * *

ბრძოლის ველზე ნაპოვნ ქაღალდებს შორის აღმოჩნდა გერმანიის 123-ე ქვეითი დივიზიის 415-ე პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურის ობერ-ლეიტენანტ სივერსის წერილი „სს"-ის ბრიგადის მეთაურ კრისტენსენის სახელზე. ამ წერილში სივერსი სწერს: „რუსები ჩვენზე უფრო უკეთ და უფრო საიმედოდ არიან ჩაცმული ზამთრისათვის. მათ ორნაირი ტანისამოსი აქვთ: საზაფხულო და საზამთრო! ლაშქრობის სიძნელეებს ჩვენზე უკეთ იტანენ. მეთაურები მამაცი და დიდი გამოცდილების მქონე ხალხია. ჩვენ როგორღა გვაქვს საქმე? უკვე ცოცხალი აღარ არის ძველ ჯარისკაცთა და ოფიცერთა უმეტესი ნაწილი და თითქმის არც ერთი უმცროსი მეთაური. რუსები არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის მასირებულ დარტყმებს მიმართავენ. ფრონტის ერთი მთლიანი ხაზი არ არსებობს. დასაყრდენ პუნქტებს ყველგან პარტიზანებისა და შერჩეული გამანადგურებელი რაზმების თავდასხმის საფრთხე ემუქრება მუდამ. ჩვენ დიდი ზარალი გვაქვს, განსაკუთრებით ისეთ ჯარისკაცთა მხრივ, რომელთა შეცვლაც შეუძლებელია. არ არის დაჭრილთა გადასაყვანი ტრანსპორტი. არც მოსვენება გვაქვს, არც კვება. ასეა ჩვენი საქმე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი მეტად დავიღალენით, გავტილიანდით და გავჭუჭყიანდით".

* * *

ხარკოვის ოლქის გერმანელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ დაბა ბლიზნეცის მცხოვრებლები გადმოგვცემენ უამრავ ფაქტს ჰიტლერელ დამპყრობთა საშინელ დანაშაულობათა შესახებ. დაბაში ცეცხლითა და აფეთქების შედეგად მოსპობილია ყველა სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, ფოსტა, აფთიაქი, საბავშვო ბაღები და ბავშვთა ბაგები. როდესაც მოქალაქენი შეეცადნენ ხანძარი ჩაექროთ, გერმანელმა მევტომატეებმა მათ სროლა აუტეხეს. ჰიტლერელებმა დაბის ყველა მცხოვრები გაძარცვეს.

ტანკის გატარება

(მოსკოვი „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კრასნაია ზვეზდის" 11 მარტის ნომერში სათაურით „ტანკის გატარება" მოთავსებულია შემდეგი ცნობა სამხრეთის ფრონტიდან:

„სამხრეთის ფრონტის სამხედრო საბჭომ მძიმე ტანკის მეთაური პ. ბირიუკოვი დააჯილდოვა ლენინის ორდენით, ტანკის მექანიკოს-მძღოლი ი. სუტკოვოი და კოშკურის მსროლელი ვასილ ტყეშელაშვილი — წითელი დროშის ორდენებით.

საბრძოლო დავალების შესასრულებლად ეს ტანკი შეიჭრა გერმანელების მიერ დაკავებულ და გამაგრებულ სოფელში, სადაც ბრძოლა გაუმართა მტრის სამ ტანკს. გერმანელთა პირველი ტანკი, ორჯერ გატარნული, ხევში გადაიჩეხა, მეორე ტანკს მარჯვედ ნასროლი ყუმბარა კოშკურაში მოხვდა და მწყობრიდან იქნა გამოყვანილი. ხოლო მესამეს რამდენიმე ყუმბარის მოხვედრის შედეგად ცეცხლი წაეკიდა.

ამ ბრძოლის დროს ჩვენი ტანკი დაზიანდა, თავდაპირველი სიმძლავრე დაკარგა, მაგრამ მამაცურად განაგრძობდა ბრძოლას. გერმანელთა სამი ტანკი რომ მოსპეს, საბჭოთა ტანკისტებმა შეამჩნიეს ჯგუფი მტრის მევტომატეებისა, რომლებიც ბაღში იყვნენ შეფარებული. ერთი წუთის შემდეგ ტანკი უკვე სრესდა მათ მუხლუხებით. გაქცეულებს ვასილ ტყეშელაშვილის ტყვიამფრქვევის ტყვიები ეწეოდა. ჩვენმა ტანკისტებმა აქვე ნახეს და გასრისეს ორი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი".

ვ. ყარა-მურზა

საბჭოთა კავშირში

ტანკ „ტანიას" ასაგებად

ნოვოსიბირსკის მოწაფეები სახსრებს აგროვებენ ტანკ „ტანიას" (მამაც პარტიზან ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელია) ასაგებად.

* * *

ბოსტნეულის თესლის მიყიდვა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ბოსტნეულის თესლის გაყიდვა დაიწყო. თესლით ვაჭრობს 890 მაღაზია და ფარდული. გაზაფხულის დადგომის შემდეგ ამ მაღაზიებისა და ფარდულების რიცხვი 1.050-მდე გადიდდება.

* * *

მეკავშირეთა ამხანაგური დახმარება

იაროსლავლის ოლქისა და რიბინსკის მეკავშირეებმა არასამუშაო დროს მოამზადეს გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ ტულის ოლქის რაიონებში გასაგზავნად 160-ნომრიანი სატელეფონო სადგური, ტელეფონის აპარატები, მავთული, საფოსტო ყუთები.

* * *

240 ახალი სპეციალისტი

ხარკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტმა, რომელიც ევაკუირებულია უზბეკეთში, 240 სტუდენტი გამოუშვა. ახალგაზრდა სპეციალისტები უკვე გაგზავნეს პრაქტიკულ სამუშაოზე.

* * *

სამეცნიერო კონფერენცია უფაში

უფაში შესდგა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია. ჭრილობის მიერ გამოწვეულ დაავადებათა და მათი მკურნალობის საშუალებათა შესახებ მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა—ჩერვაკოვმა, ლიმბერგმა, გურევიჩმა და სხვ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებმა.

* * *

საზოგადოებრივი სანიტარული ინსპექტორები

რუსეთის სფს რესპუბლიკის ჯანსახკომმა დაავალა ჯანმრთელობის დაცვის ყველა ორგანოს, გააძლიერონ ბრძოლა სანიტარული კულტურისა და სისუფთავისათვის სახლებში, საერთო საცხოვრებლებში, სასადილოებში, მაღაზიებში, ვაგზლებზე და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ საზოგადოებრივი სანიტარული ინსპექტორები ყველა საწარმოში, ყოველ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში.

(საქტაგი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მატარებლის ბრიგადების გზაში ყოფნის დროს კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ

მატარებლის ბრიგადების (მემანქანეთა, მემანქანის თანაშემწეთა, მეცეცხლურთა, კონდუქტორთა, ვაგონის ოსტატთა და რგოლებრი მარშრუტების უფროსთა ხაზზე გზაში ყოფნის დროს მუშაობის ძნელი პირობების გამო, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა: 13 მარტიდან დაწყებული, მატარებლის ბრიგადის თითოეულ წევრს ბარათების ნორმების გადამეტებით მიეცეს ფასად ბრიგადის **გზაში ყოფნის ყოველ დღელამეში**: პური—400 გრამი, ძეხვი—100 გრამი, შაქარი—20 გრამი, თამბაქო—20 გრამი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

წითელი არმიის ავტო-ჯავშანსატანკო ჯარების ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობისათვის პერსონალურ სამხედრო წოდებათა შემოღების შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, თავდაცვის სახალხო კომისარმა ბრძანა:

1. შემოღებულ იქნას 1942 წლის 1 აპრილიდან წითელი არმიის ავტო-ჯავშანსატანკო ჯარების ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებანი:

ტექნიკოს-ლეიტენანტი,
უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი,
ინჟინერ-კაპიტანი,
ინჟინერ-მაიორი,
ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი,
ინჟინერ-პოლკოვნიკი,
საინჟინრო-სატანკო სამსახურის გენერალ-მაიორი,
საინჟინრო-სატანკო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი,
საინჟინრო-სატანკო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი.

2. ფრონტების, ოლქებისა და არმიების სამხედრო საბჭოებმა ორი თვის ვადაში გადასინჯონ მთელი ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობა, რომელსაც აქვს წოდება 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსამდე ჩათვლით, და ახალი სამხედრო წოდებანი მიანიჭონ ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

მე-3 რანგის სამხედრო ინჟინრის და უფრო მაღალი წოდების ინჟინერ-ტექნიკურ შემადგენლობაზე წარმოდგენილ იქნას საატესტაციო მასალა წითელი არმიის ავტო-ჯავშანსატანკო ჯარების კადრების სამმართველოში 1942 წლის 15 აპრილისათვის.

3. ფრონტზე მოქმედი სამწყობრო ნაწილების ავტო-ჯავშანსატანკო ჯარების ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებების დამსახურების ვადები დაწესდეს: ტექნიკოს-ლეიტენანტისათვის — 4 თვე, უფროს ტექნიკოს-ლეიტენანტისათვის—6 თვე, ინჟინერ-კაპიტნისათვის — 6 თვე, ინჟინერ-მაიორისათვის—8 თვე, ინჟინერ-პოდპოლკოვნიკისათვის—10 თვე.

უფროს ტექნიკოს-ლეიტენანტამდე ჩათვლით სამხედრო წოდებანი მიანიჭონ ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოებმა, ინჟინერ-კაპიტნიდან ინჟინერ-პოლკოვნიკამდე ჩათვლით სამხედრო წოდებანი მინიჭებულ იქნას თავდაცვის სახალხო კომისარიატის ბრძანებით.

ფრონტებისა და არმიების სამხედრო საბჭოებს უფლება მიეცეთ ცალკეულ შემთხვევებში, მუშაობაში თვალსაჩინო წარმატებისას ან განსაკუთრებულ დამსახურებისას, რიგგარეშე სამხედრო წოდებანი მიანიჭონ უფროს ტექნიკოს-ლეიტენანტამდე ჩათვლით და სამხედრო წოდებათა რიგგარეშე მისანიჭებლად წარადგინონ ინჟინერ-კაპიტნები და უფრო მაღალ წოდებათა პირნი.

4. წითელი არმიის ავტო-ჯავშანსატანკო ჯარების ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობისათვის დაწესდეს მეთაურთა შემადგენლობის თანაბარი ტანსაცმლის ფორმა და განმასხვავებელი ნიშნები. შემოღებულ იქნას წითელი არმიის ინჟინერ-ტექნიკური შემადგენლობისათვის დაწესებული ნიმუშის ემბლემა საყელოებზე.

„ომობენ არა რიცხვით, არამედ უნარით"

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 12 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ მთელი საბჭოთა პრესა მოიარა ცნობამ იმის შესახებ, რომ 9 მარტს ჩვენმა შვიდმა ავიაგამანადგურებელმა ესკადრილიის მეთაურ კაპიტან ერემინის ხელმძღვანელობით ბრძოლა გაუმართა მტრის 25 თვითმფრინავს და ამ უთანასწორო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ამ ცნობის ეპიგრაფად მოყვანილი იყო სუვოროვის სიტყვები—„ომობენ არა რიცხვით, არამედ უნარით".

კაპიტან ერემინის ესკადრილიას არაერთხელ მოუხდა თავისი საბრძოლო პრაქტიკით დაემტკიცებინა დიდი რუსი მხედართმთავრის ეს სიტყვები. ეს ერთსულოვანი, გამოცდილი და მამაცი მებრძოლი კოლექტივი, რომელიც ნამდვილ რისხვას წარმოადგენს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისათვის.

აი რას გვიამბობს თავისი ესკადრილიის საბრძოლო პრაქტიკის და კერძოდ 9 მარტის თავისი ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ კაპიტანი ბ. ერემინი:

— საჰაერო ბრძოლაში მტრის თვითმფრინავებს პირველად როდი შევხვედრივართ. ერთხელ, როცა ბომბდამშენებს ჰბადრაგობდა, ჩვენი 5 თვითმფრინავი შეხვდა გერმანელთა 15 ავიაგამანადგურებელ „მე-109" და 6 ბომბდამშენ „იუ-88", რომლებიც ბომბებს უშენდნენ დიდ რკინიგზის კვანძს.

7 „მესერშმიტი" რკალად გაიწყო და თავის ბომბდამშენებს ბარაჟირობდა სამიზნის მისასვლელში. დანარჩენები მათ იცავდნენ იერიშიდან გასვლის ადგილას. ჩვენს წინაშე ორი ამოცანა იყო — უშიშარგვეყო ჩვენი თვითმფრინავები მტრის ავიაგამანადგურებელთა იერიშებისაგან და გერმანელთა ბომბდამშენები გაგვერეკა სამიზნისაგან. ორმა ჩვენმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა „იუ-88"-ზე სამიზნესთან მისასვლელში და ერთბაშად არივდარია მათი საბრძოლო წყობილება. მათ შესწყვიტეს ბომბების სროლა და თავისი „მესერშმიტებისაკენ" წავიდნენ დაბლა. ჩვენმა წყვილმა, რომელიც რგოლთან მოეწყო, თავისი ამოცანა შეასრულა და ჩვენს ბომბდამშენებს ბრძოლიდან გამოსასვლელი გზა მისცა.

8 მარტს, როცა ჩვენი ჯარების შეტევას ვიცავდით, ჩვენ წავაწყდით მტრის 5 „იუნკერსს" და 4 „მესერშმიტს". ჩვენ დაუყოვნებლივ ვეკვეთეთ იერიშით ბომბდამშენებს, ერთი „იუ-88" ჩამოვაგდეთ, დანარჩენი კი სამიზნისაგან განვდევნეთ ამის შემდეგ ჩვენ „მესერშმიტებს" შევებით. წყვილ-წყვილად მოვქმედებდით. ერთს იერიში მიჰქონდა, მეორე მის უშიშროებას უზრუნველჰყოფდა. ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის კიდევ 2 ავიაგამანადგურებელი, დანარჩენები სამარცხვინოდ გაიქცნენ. უკან დაბრუნებისას ჩვენ ბრძოლა გავუმართეთ მტრის ორს, ეგრეთწოდებულ „გზებზე მონადირეს" და ჩამოვაგდეთ ერთი „მე-109".

ყველაზე საინტერესო საჰაერო ბრძოლა მოხდა 9 მარტს. ამ ბრძოლის ამბავი მთელმა საბჭოთა პრესამ გუშინ გამოაქვეყნა. ჩვენი შვიდეული, რომელიც ჯარის დაცვის დავალებას ასრულებდა, ბრძოლის ველზე წააწყდა გერმანელთა 7 ბომბდამშენს და 18 ავიაგამანადგურებელს. ჩვენ გადავწყვიტეთ მტერი ბრძოლაში ჩაგვეთრია. ლეიტენანტი სედოვი მტრის ბომბდამშენებში შეიჭრა. გერმანელი საჰაერო მეკობრენი ასეთ მანევრს არ მოელოდნენ, დაიბნენ და გაიქცნენ ისე, რომ არც ერთი ბომბი არ ჩამოუგდიათ. ქვემოთ მყოფი „მესერშმიტები" იძულებული იყვნენ ბრძოლაში გამოგვყოლოდნენ. როგორც წინა ბრძოლებში, აქაც წყვილ-წყვილად ვმოქმედებდით — ბოლოდან ვიცავდით ერთმანეთს. ბრძოლა სასტიკი იყო, მაგრამ ფაშისტთა ძერები ვერ იხსნა მტრის ვერც რიცხვობრივმა უპირატესობამ და ვერც ვერაგულმა ხრიკებმა.

ამ უთანასწორო ბრძოლაში ჩვენმა შვიდეულმა, დაზუსტებული ცნობებით, ჩამოაგდო მტრის 7 თვითმფრინავი, მათგან 5 ავიაგამანადგურებელი „მე-109". ლეიტენანტმა სკოტნომ ჩამოაგდო 2 თვითმფრინავი, ლეიტენანტებმა სალომატინმა, მარტინოვმა და სედოვმა — თითო-თითო, ერთი ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო უფროსმა სერჟანტმა კოროლმა, ჩემს საბრძოლო სათვალავსაც მიემატა ერთი ჩამოგდებული „მე-109".

ბრძოლის პარალელურად ჩვენ მოგვიხდა იმ თვითმფრინავების დაცვა, რომლებიც ამ რაიონში მტრის ჯარების საიერიშოდ მოვიდნენ. უნდა უზრუნველგვეყო მათი უსაშიშრო გამოსვლა ბრძოლიდან. ეს ამოცანაც შესრულებულ იქნა.

მტერს ერთი-სამად და კიდევ მეტი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ. მე მგონია ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვეხმარებოდით, ვეხმარებოდით მტრის წინააღმდეგ იერიშში, ხოლო რაც მთავარია, ჩვენ ვიცით, თუ რისთვის ვიბრძვით. ჩვენ ვიცავთ ჩვენს სამშობლოს, შეგნებული გვაქვს ჩვენი საქმის სამართლიანობა. ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ერთი მიზანი და ერთი მისწრაფება აქვს, შეასრულოს ჩვენი საყვარელი სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანება — გავანადგუროთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი, გავწმინდოთ მათგან საბჭოთა მიწა-წყალი, გავათავისუფლოთ მათი უღლისაგან ჩვენი საბჭოთა ადამიანები!

ამხანაგებმა მხურვალედ მიულოცეს მამაც მფრინავებს—ერემინს, ზაპრიაგაევს, სედოვს, სალომატინს, სკოტნოის, მარტინოვს და კოროლს თვალსაჩინო გამარჯვება და სულითა და გულით უსურვეს ახალ-ახალი საბრძოლო წარმატება.

ლ. როზოვი

გენერალ ფონ ბუშის „საზრუნავი"

მოქმედი არმია, 12 მარტი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენს სარდლობას ხელში ჩაუვარდა საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს გერმანიის მე-16 არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ფონ ბუში და რომელიც მე-16 არმიის ყველა პოლკისა და დივიზიისათვის დაუგზავნიათ. ეს დოკუმენტია—„ინსტრუქცია მეომართა დაკრძალვის შესახებ", რომელიც წინადადებას იძლევა „ყოველ საარმიო შენაერთში დანიშნულ იქნას დაკრძალვის განყოფილების ოფიცერი".

ინსტრუქციასთან დართული „სამახსოვრო მეომართა დაკრძალვის შესახებ" შეიცავს სპეციალურ პარაგრაფს თვითმკვლელთა შესახებ. არმიაში, ოფიცერთა შორისაც კი, თვითმკვლელობათა რიცხვმა საშიშრად იმატა. გენერალ-პოლკოვნიკი ფონ ბუში ბრძანებს თვითმკვლელნი დაკრძალონ ცალკე სასაფლაოზე „მხედრული პატივის მიუცემლად".

გენერალ-პოლკოვნიკი ყველაზე მეტად ზრუნავს იმისათვის, რომ ყველა თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დამარხოს მიღებული რიტუალის თანახმად. სჩანს, მას თვითონ ესმის, რომ გარშემორტყმული მისი არმიის მდგომარეობა იმდენად უიმედოა, რომ სხვა რამე საზრუნავი აღარ დარჩენია.

მაგრამ ყოველთვის და ყველგან როდი ახერხებენ „დაკრძალვის განყოფილების ოფიცრები" შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის ასრულებას. აი, რას მოწმობს ამის შესახებ ტყვე უნტერ-ოფიცერი ჰანს ნიგბური:

— რუსებმა სულ უფრო მეტი ძალებით მოიტანეს ჩვენზე იერიში. ცხადია, ჩვენ იძულებული გავხდით გავქცეულიყავით. მე შემიძლია ერთი რამ აღვნიშნო: ასე სწრაფად სირბილი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ დამჭირვებია! ჩვენ დახოცილთა გვამებიც კი ვერ წავიღეთ თან...

ი. კაპლანსკი

საბჭოთა მეომრების მამაცობა და სიმტკიცე

მოქმედი არმია, 13 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). კაპიტან მუჰამედიაროვის ბატალიონს, რომელიც რთულ საბრძოლო ამოცანას ასრულებდა, მტერი გარს შემოერტყა. უკლებლივ ყველა მებრძოლმა და მეთაურმა საბჭოთა მეომრების ნამდვილი საბრძოლო მამაცობა გამოიჩინეს. ბატალიონმა ურთიერთდაცვა მოაწყო და 6 დღე-ღამის განმავლობაში იგერიებდა მტრის გააფთრებულ შემოტევას.

გერმანელები ბევრად სჭარბობდნენ რიცხობრივად, მათ ეხმარებოდა წინააღმდეგობის დიდი კვანძის მძლავრი საცეცხლე სისტემა.

ჩვენს მებრძოლებსა და მეთაურებს ერთი წუთითაც არ დაუკარგავთ სულიერი სიმტკიცე. მამაცობითა და მტკიცე გადაწყვეტილებით აღსავსენი, ისინი გამანადგურებელ ლაშქარს სცემდნენ მტერს, ხშირად გადადიოდნენ ხიშტის იერიშებზე, გრანატებს აყრიდნენ მტერს და ართმევდნენ საჭურველს. როდესაც ვაზნები გამოელიათ, მათ ნადავლი ტყვიამფრქვევები და ავტომატები აამოქმედეს.

ამ დროს გერმანელთა განლაგების სიღრმიდან ფაშისტთა ახალი ქვეგანაყოფები დაიძრნენ. კაპიტანმა მუჰამედიაროვმა გაბედული და ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო— ცალკე ჯგუფებად დაჰყო თავისი ბატალიონი, რათა მთაგორიანი ადგილებით, ხშირი ბუჩქნარით ესარგებლნა და გარემოცვიდან გამოეყვანა თავისი მებრძოლები. გერმანელები მუჰამედიაროვს განზრახვას მიუხვდნენ, მათ რკალის შევიწროება იწყეს და ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების გრიგალისებური ცეცხლი გააჩაღეს. ზედიზედ იქნა მოგერიებული გერმანელ ავაზაკთა ათობით გააფთრებული იერიში.

ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მებრძოლებს ერთი წვეთი წყალი არ დაულევიათ, მაგრამ როდესაც რამდენიმე მათგანმა წყალი იშოვეს, ყველამ ერთსულოვნად განაცხადა უარი წყლის დალევაზე. ამ წყლით გახურებული ტყვიამფრქვევები გააციეს.

ყველა გამსჭვალული იყო ერთი მისწრაფებით—რაც შეიძლება მეტი ზარალი მიეყენებინა მტრისათვის და თავის ნაწილში დაბრუნებულიყო. მეექვსე დღეს ცალკეულმა ჯგუფებმა ლეიტენანტ ფუქსის, უფროს ლეიტენანტ ტაჩენკოს და უმცროს ლეიტენანტ კოსენკოვის მეთაურობით მტრის რკალის გარღვევა დაიწყეს. კაპიტანი მუჰამედიაროვი მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფთან ერთად დარჩა, რათა დაეფარა ამ ჯგუფების უკანდახევა და ბრძოლის მთელი სიმძიმე თავისკენ წარმართა.

გერმანელებმა რომ ცალკეული ჯგუფების უკანდახევა შეამჩნიეს, სასტიკი სროლა გააჩაღეს. ამ ცეცხლისაგან რომ თავი დაეღწარათ, ოთხი ჩვენი მებრძოლი მიწურში შევიდა. მიწურთან 15 ფაშისტი მივიდა, რომლებმაც წინადადება მისცეს წითელარმიელებს — დაგვნებდითო. პასუხის ნაცვლად მამაცმა მეომრებმა ხიშტის გააფთრებული დარტყმით მოჰკლეს 8 ფაშისტი, ხოლო დანარჩენები გააქციეს. იქვე მახლობლად უფროსმა ლეიტენანტმა ლეშნიაკმა შაშხანით მოჰკლა რამდენიმე გერმანელი ოფიცერი და მეავტომატე.

გერმანელები ყოველნაირად ცდილობდნენ გზა მოეჭრათ ჩვენი მებრძოლებისათვის, მაგრამ ვერ შესძლეს. კაპიტან მუჰამედიაროვის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, რომლებიც ჯგუფებად გაიყვნენ, ტყვიითა და ხიშტით გაიკაფეს გზა და ჩვენს ნაწილებს შეუერთდნენ. ექვსი დღე-ღამის ბრძოლის შედეგად მათ მოსპეს გერმანიის ქვეითი ჯარის 2 ბატალიონი და მტრის დიდძალი საცეცხლე საშუალებანი.

ა. ხამადანი
მ. ტუროვსკი

ცხრა დღე ალყაშემორტყმულ ტანკში

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტი, 13 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სოფელ ბ-ზე იერიშის მიტანის დროს ერთ-ერთი ჩვენი ტანკი იძულებული გახდა მტრის განლაგებაში გაჩერებულიყო. ტანკი დაზიანდა და ადგილიდან ვერ იძროდა. მანქანის ეკიპაჟმა გადასწყვიტა შეეკეთებინა ტანკი იმის მიუხედავად, რომ მტერი გააფთრებით ისროდა. მანქანის მეთაური, კოშკის მსროლელი და რადისტი ტანკიდან გამოვიდნენ. ჰიტლერელთა მიერ გაჩაღებული გრიგალისებრი ცეცხლით ორი გმირი ტანკისტი დაიღუპა, ფეხში დაჭრილმა რადისტმა კი მტერი მოატყუა, ცეცხლს თავი დააღწია და თავის ნაწილში მივიდა.

ტანკში დარჩა მარტო წამყვანი-მექანიკოსი კოვალენკო. იგი კვლავ გამანადგურებელი ცეცხლით უმასპინძლდებოდა ფაშისტებს. მაგრამ მას უკვე გამოელია ვაზნები და ყუმბარები, ტანკიდან სროლა შენელდა და, ბოლოს, სრულიად შესწყდა.

გათავხედებული ჰიტლერელები, რომლებმაც ვერ შესძლეს დაზიანებულ ტანკში მყოფი ერთი ტანკისტის დამორჩილება, გათამამდნენ. ისინი გარს შემოერტყნენ საბჭოთა ტანკს და წინადადება მისცეს ტანკისტს დაგვნებდიო. პასუხის ნაცვლად კოვალენკომ ბანდიტებს ტყვიამფრქვევის უკანასკნელი ჯერი მიაყარა, რამაც ათამდე ფაშისტი მოსცელა.

გერმანელები ხან სასტიკი დასჯით ემუქრებოდნენ საბჭოთა მებრძოლს, ხან კი ელაპარაკებოდნენ და ყოველგვარ სიკეთეს ჰპირდებოდნენ გამცემლობისათვის. მაგრამ გმირი ტანკისტი სდუმდა. ვერც შიმშილმა და ვერც ყინვამ ვერ გასტეხა მისი ნებისყოფა. გავიდა ორი დღე. გერმანელები ერთი ნაბიჯითაც არა შორდებოდნენ ტანკს. წამყვანს შიმშილი აწუხებდა, სიცივისაგან კანკალებდა. გერმანელებმა კვლავ უთხრეს დაგვნებდიო, მაგრამ პასუხად მაგრა შეუკურთხა რუსულად. კოვალენკო დროგამოშვებით გონს ჰკარგავდა, მაგრამ მალე მოდიოდა გრძნობაზე და კვლავ გულდასმით უგდებდა ყურს ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ცხრა დღე და ცხრა ღამე დაჰყო წამყვანმა-მექანიკოსმა კოვალენკომ ალყაშემორტყმულ ტანკში მტრებს შორის და, როდესაც უკვე ძალა ელეოდა, უცბად გაიგონა მშობლიური ლაპარაკი. ეს ჩვენი ქვეითები იყვნენ, რომლებმაც სოფელ ბ-დან განდევნეს ფაშისტები. ნახევრად გაყინულმა, მშიერმა, დაღლილმა, მაგრამ იმით ბედნიერმა ტანკისტმა, რომ ამხანაგებმა გადაარჩინეს, სარკმელი გააღო. თვითონ გამოსვლა მას არ შეეძლო. მებრძოლებმა ფრთხილად გამოიყვანეს მანქანიდან გმირი ტანკისტი და ხელით მიიყვანეს სამედიცინო დახმარების პუნქტში. ახლა ამხ. კოვალენკომ უკვე მოიკეთა და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როდესაც კვლავ წავა საბრძოლველად.

ი. დენისოვი

მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის აღდგენა

რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ მოსკოვის ოლქის რაიონებში პირველი რიგის აღდგენითი სამუშაოს შესასრულებლად 1942 წელს გადებულია 20 მილიონამდე მანეთი. ამას გარდა, რუსეთის სფს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის აღსადგენად გამოყოფილია 2 მილიონი მანეთი. 5,5 მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოს მოსკოვის საბჭო ასრულებს.

რიომის პროცესი

ლეონ ბლიუმის ჩვენება

ნიუ-იორკი, 12 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რიომის სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე ბლიუმმა განაცხადა, რომ ომის წარმოშობაში ბრალი მიუძღვით ღერძის ქვეყნებს, რადგან მათ უარი განაცხადეს 1936 წელს განიარაღებაზე. ბლიუმმა სთქვა: წინათ პაციფისტი ვიყავი, მაგრამ როცა დავინახე, რომ საფრანგეთის დამოუკიდებლობას აგრესია ემუქრებოდა, მე მივხვდი, საჭიროა საფრანგეთის შეიარაღებაო. ბლიუმმა მოსამართლეთა შეკითხვების პასუხად განაცხადა: ყველაზე დიდი რამ, რის მიღწევასაც მე ვცდილობდი, სამხედრო მრეწველობის ნაციონალიზაცია არისო.

ბლიუმმა რიომის პროცესი დაახასიათა, როგორც პოლიტიკური პროცესი, რომელიც „მიმართულია ზოგიერთი პოლიტიკური წრის წარმომადგენელთა წინააღმდეგ".

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს რიომელი კორესპონდენტი იუწყება, ბლიუმმა განაცხადა: მაშინ, როდესაც გერმანია გამალებით იარაღდებოდა, საფრანგეთმა უარი სთქვა გაეგრძელებინა სამხედრო სამსახურის ვადა, რადგან პეტენმა სენატის სამხედრო კომისიაში განაცხადა, ხალხი ამ ღონისძიებას მხარს არ დაუჭერსო. იმავე წელს ლავალმა განაცხადა, შეუძლებელია სამხედრო ასიგნობათა გადიდებაო.

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე ბლიუმმა წარმოსთქვა სიტყვა, რაც სამ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ სიტყვაში იგი იცავდა რესპუბლიკურ წყობილებას საფრანგეთში. კერძოდ, მან განაცხადა: ჩემმა მთავრობამ კომუნისტების მხარდაჭერა მიიღო, რადგან ანგარიშს უწევდა კომუნისტური პარტიის წევრთა ფართო მასებს. „შეუძლებელი იყო, —განაცხადა ბლიუმმა,—რესპუბლიკური იდეები დაგვეცვა ხალხის ფართო მასების გამორიცხვის გზით".

შემდეგ ბლიუმმა სთქვა: „დღეს რუსეთი ბრძოლას განაგრძობს იმავე მტერთან, რომელსაც ჩვენ ვებრძოდით ორი წლის წინათ, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრები შეადგენენ იმ მძევლების დიდ ნაწილს, რომლებსაც ოკუპირებულ ზონაში ხვრეტენ. გაზეთებმა ამას წინათ გამოაქვეყნეს იმ კომუნისტის გვარი, რომელიც მკვახედ ილაშქრებდა ჩემს წინააღმდეგ. იგი სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ სიკვდილის წუთს იგი მღეროდა „მარსელიეზას", რომლის მღერაც მას სახალხო ფრონტმა ასწავლა".

ფინეთის მუდარა დახმარების შესახებ

სტოკჰოლმი, 10 მარტი (საკდესი). სტოკჰოლმს ჩამოვიდა ფინეთის სეიმის დეპუტატი ფრიჩი. მისი ჩამოსვლა ოფიციალურად დაკავშირებულია „ხალხთმოსახლეობის პოლიტიკის საკითხის შესწავლასთან". ფრიჩმა გაზეთ „სვენსკა მორგენბლადეტის" საშუალებით დაბეჯითებითი თხოვნით მიჰმართა შვედებს მაქსიმალურად გააძლიერონ ეკონომიური დახმარება ფინეთისადმი. „ჩვენ ვიცით, რომ შვეციას ამჟამად არ მოეპოვება ისეთი შესაძლებლობანი, როგორიც 1939-1940 წელს ჰქონდა, —განაცხადა ფრიჩმა,—მაგრამ ჩვენ უკიდურესად გვესაჭიროება დახმარება. ამჟამად ფინეთი მეტად მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაშია, ასეთ მდგომარეობაში იგი არ ყოფილა მთელი თავისი არსებობის მანძილზე. სასურსათო მდგომარეობა საშინელია. საყოველთაო შიმშილი რომ თავიდან აგვეცილებინა, იძულებული ვიყავით პურად გამოგვეყენებინა სათესლე მარცვლეული, რაც რაიმე საშუალებით იმედი გვაქვს აუნაზღაუროთ მინდვრის სამუშაოთა დაწყებისათვის". ფრიჩმა აღნიშნა, რომ თებერვალში გერმანიამ ფინეთს აღუთქვა საჭირო რაოდენობით მარცვლეულის მიწოდება, მაგრამ პურის გამოგზავნა „შეფერხდა" არახელსაყრელი ყინულოვანი პირობების გამო. შეფერხდა რკინიგზის გადაზიდვებიც. „ამიტომ,—სთქვა ფრიჩმა,—ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ შვეციის დახმარებაზე, განსაკუთრებით სასურსათო დახმარებაზე. თუმცა შვეციაში რამდენიმე დღის ყოფნის დროს მე გამოვარკვიე, რომ შვეციის სხვადასხვა წრეები დიდი ეჭვით ეკიდებიან ფინეთის საგარეო პოლიტიკას, ეს მეტად საჩოთირო პრობლემაა".

მაგრამ ფრიჩი უძლური აღმოჩნდა რაიმე არგუმენტი წამოეყენებინა შვეციის საზოგადოებრიობის წინაშე ფინეთის ავაზაკური ომის დასაცავად.

მთავრობის კრიზისი უნგრეთში

ჟენევა, 13 მარტი (საკდესი). ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, რომ ბარდოშის გადადგომას წინ უძღოდა უნგრეთის მთავრობის ცხარე სხდომა, რომელიც არმიის სარდლობის მონაწილეობით მიმდინარეობდა.

სამხედრო მინისტრმა ბარტამ, რომელმაც მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გასაგზავნად ახალი ცხენოსანი შენაერთების შედგენის მსვლელობის შესახებ, განაცხადა, რომ სამხედრო ხელისუფალნი მრავალ „გადაულახავ სიძნელეს" აწყდებიან. ბევრ კომიტატში,—აღნიშნა ბარტამ,—გლეხთა მღელვარება მოხდა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ახალი მობილიზაციით და ცხენების მასობრივი რეკვიზიციით ცხენოსანი ნაწილებისათვის, რაც ახლა იქმნება. პეშტის კომიტატში სერიოზული შეტაკებები მოხდა მოსახლეობასა და სარეკვიზიციო რაზმებს შორის. მინისტრმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო ხელისუფალნი და, კერძოდ, კომიტატის გუბერნატორი ბარჩაი უარყოფითად ეკიდებიან სამხედრო ხელისუფალთა ღონისძიებებს. მობილიზაციის მსვლელობა გვიჩვენებს,—განაცხადა შემდეგ ბარტამ, — რომ უნგრეთს „დაუძლეველი ამოცანა დაეკისრა".

სამხედრო მინისტრის აზრს დაეთანხმა შინაგან საქმეთა მინისტრი კერესტეშ-ფიშერი, რომელმაც განაცხადა, რომ ახალი მობილიზაცია არმიაში და გლეხებისათვის ცხენების ჩამორთმევა ისედაც დაძაბული შინაპოლიტიკური მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გამწვავებას გამოიწვევენ. კერესტეშ-ფიშერმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე გერმანელთა აგენტურის საქმიანობას უნგრეთში. გერმანელები ცდილობენ გადააქციონ გერმანელთა უმცირესობა „სახელმწიფოდ სახელმწიფოში". სხდომაზე გამოითქვა აგრეთვე შიში, რომ მასობრივ მობილიზაციასა და ფრონტის საჭიროებისათვის ცხენების რეკვიზიციასთან დაკავშირებით საგაზაფხულო თესვა შეიძლება ჩაიშალოს.

სარწმუნო ცნობებით, მთავრობის ამ სხდომაზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მეორე დღეს პრემიერ-მინისტრი ბარდოში უეცრად „ავად გახდა" და მალე ასევე უეცრად გადადგა. ოფიციალური მოტივაცია ბარდოშის გადადგომისა, რომელიც ვითომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით არის გამოწვეული, ჟენევის წრეებში სასაცილოდ მიაჩნიათ. აქ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ გერმანული პრესა, ხოლო შემდეგ ფაშისტური ღერძის დანარჩენ სახელმწიფოთა პრესაც გაძლიერებით უსვამს ხაზს, რომ მთავრობის შეცვლა ვითომ აუცილებელი გახდა მხოლოდ ბარდოშის „დასუსტების" გამო, რომ მთავრობის პოლიტიკის კურსი წინანდებური, უცვლელი რჩება და რომ „უნგრეთი, როგორც ბუდაპეშტის რადიომ განაცხადა, დამოუკიდებელ ქვეყნად რჩება". ოფიციალური გერმანული ინსტანციების მიერ გამოქვეყნებული ეს ნაჩქარევი უარყოფა იმ ფაქტს ჰფარავს, რომ გერმანიამ ახალი, დიდი მოთხოვნები წაუყენა უნგრეთს. ავტორიტეტული წრეები ფიქრობენ, რომ გერმანელთა მოთხოვნით ბარდოშის შემდეგ კაბინეტის ზოგიერთი სხვა წევრიც იქნება თავიდან მოცილებული.

ირანის ახალი მთავრობის შედგენის გამო

თეირანი, 13 მარტი (საკდესი). 9 მარტს დილით სოჰეილმა კაბინეტის ახალი შემადგენლობა წარუდგინა მეჯლისს. სოჰეილმა გააფრთხილა მეჯლისი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი მან ჩაიბარა დროებით, სათანადო კანდიდატურის გამოძებნამდე.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფორუღი შაჰის კარის მინისტრად დაინიშნა.

თეირანი, 13 მარტი (საკდესი). ირანულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს სოჰეილის მთავრობის პროგრამის ტექსტი. პროგრამაში ნათქვამია, რომ საგარეო პოლიტიკაში მთავრობას განზრახვა აქვს დაიცვას ირანის ინტერესები და განახორციელოს მჭიდრო თანამშრომლობა იმ ქვეყნების მთავრობებთან, რომელთა ინტერესები დაკავშირებულია ირანის ინტერესებთან. საშინაო პოლიტიკაში მთავრობას განზრახვა აქვს გადასინჯოს ის კანონები, რომლებიც დღევანდელი დღის მოთხოვნებს არ შეესაბამება, განამტკიცოს არმია და ის ძალები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ქვეყნის უშიშროებას, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და მიწათმოქმედების განვითარებას, ხელი შეუწყოს ირანის მრეწველობის განვითარებას, გაატაროს ღონისძიებანი მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მონაწილეობა მიაღებინოს პროვინციების მოსახლეობას ადგილობრივი ადმინისტრაციის მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას.

შეშფოთება გერმანელ დამპყრობთა ზურგში

სტოკჰოლმი, 13 მარტი (საკდესი). გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისა და მათი ლაქია კვისლინგელების მდგომარეობა ნორვეგიაში სულ უფრო და უფრო მერყევი ხდება. ჰიტლერელთა ტერორი და ძალადობა, შიმშილი მხოლოდ აძლიერებენ ნორვეგიელი ხალხის სიძულვილს ოკუპანტებისადმი.

შვედური ჟურნალი „დი ველტი" სწერს, რომ ნორვეგიას საყოველთაო შიმშილი მოელის. ცხიმეული სრულიად გაქრა ბაზარზე. თევზის ნაკლებობაა, ვინაიდან მისი უდიდესი რაოდენობა რეკვიზირებულია გერმანელთა მიერ. თევზის კონსერვის სპეციალური ქარხნები მუშაობენ, რათა იქ დამზადებული კონსერვი გერმანიაში იქნას გატანილი. ოსლოსა და სხვა ქალაქებში გახსნილია სპეციალური საბაყლო მაღაზიები გერმანელთათვის. ხოლო მოსახლეობა უაღრესად საჭირო პროდუქტებსაც კი მოკლებულია. ქაშაყის მარგარინიც კი არ იშოვება. ქაშაყის მთელი დარჩენილი მარაგი გერმანიაში გაიგზავნა. უკვე ბევრი თვეა, რაც ნორვეგიელ ბავშვებს არ მიუღიათ არც ერთი გრამი კარაქი, არც რძე და კვერცხი. თეთრ ფქვილს იძლევიან მეტად განსაკუთრებულ შემთხვევებში, ექიმის რეცეპტით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩრდილოეთ ნორვეგიის მოსახლეობა. თევზის ჭერა ამჟამად თითქმის სრულიად შეწყვეტილია საწვავისა და სათევზაო ხელსაწყოს უქონლობის გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ სანაპირო ზოლის მრავალი უბანი გერმანელებმა ნაკრძალ ზონად გამოაცხადეს. უკეთესი მდგომარეობა არც სამხრეთ ნორვეგიაშია. ნორვეგიული გაზეთი „აფტენპოსტენი" იუწყება, რომ ყველგან პროდუქტების საშინელი სპეკულაციაა. ოსლოს „შავ ბირჟაზე" მყიდველები არიან კვისლინგელები, რომლებიც დიდ თანხებს იღებენ თავიანთი „მოღვაწეობისათვის". ერთი გლეხის სიტყვით, „შავი ბირჟის" მუდმივი „კლიენტია" კვისლინგელი შინაგან საქმეთა „მინისტრი" ჰაგელინი, რომელიც უმთავრესად გოჭებს ყიდულობს.

ნორვეგიაში დაიწყო სურსათის ახალი რეკვიზიციები გერმანიის საოკუპაციო არმიის საჭიროებისათვის. ამ დღეებში კვისლინგმა განკარგულება გასცა იმის შესახებ, რომ კონფისკებულ იქნას ფერადი ლითონების ყველა ნაწარმი „გერმანიის ჯარების საომარი მიზნებისათვის". კანტორებსა, თეატრებსა და კერძო სახლებში ხსნიან კარების სპილენძის სახელურებს, ონკანებს, კიბეების ლითონის მოაჯირებს, ლითონის სხვადასხვა აბრებს სახლებსა და ქუჩებში.

ნორვეგიელი მოსახლეობის ყველა ფენაში იზრდება სიძულვილი ჰიტლერელებისადმი. მტკიცდება ჰიტლერელთა „ახალი წყობილების" წინააღმდეგ ბრძოლის ნებისყოფა.

ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრის სიტყვა რადიოთი

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა ჰერბრანდიმ, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი, თავის თანამემამულეებს განუცხადა, რომ ჰოლანდიელი ხალხის ბრძოლა გაგრძელდება. „მიმდინარეობს,—განაცხადა მან,—ჩვენი ფლოტის რეორგანიზაცია. 1943 წელს, როცა ჩვენ ზღვაში და ჰაერში უპირატესობას მივაღწევთ, ჩვენს მოკავშირეებთან ერთად უფრო ფართო მასშტაბით განვახორციელებთ შეტევას. „ჰერბრანდის სიტყვით, იაპონიის ფლოტში, რომელმაც იერიში მიიტანა იავაზე, შედის 100-ზე მეტი საომარი გემი და ჰოლანდიელებმა წარუმატებლობა განიცადეს იმ ტრანსპორტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც ჯარი გადაჰყავდათ წყალქვეშა ნავების ბადრაგობით. „მტრის ერთი ოთხად მეტი სახმელეთო და ერთი-ათად მეტი საჰაერო ძალების წინააღმდეგ ბრძოლა,—სთქვა ჰერბრანდიმ,—უიმედო იყო. საყოველთაო ბრძოლა გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ ერთი ხნით ტალღა მოაწყდა ჩვენს არქიპელაგს. ამ ბრძოლის განვითარება გადამწყვეტი იქნება ჩვენთვის".

ინგლისის ავიაციის თავდასხმა რურის ოლქზე

ლონდონი, 11 მარტი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ბომბდამშენებმა კვლავ მიიტანეს იერიში რურის ოლქის სხვადასხვა ობიექტებზე. სამრეწველო რაიონებში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის ჩამოყრილი ბომბები.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა კილზე

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 12 მარტს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ კილს და სხვა ობიექტებს ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში. შემჩნეულია, რომ ბომბები აფეთქდა გემთსაშენ ქარხნებში, სადაც მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. მტრის წყლებში ნაღმები ჩაყარეს. 8 ბომბდამშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

იაპონელებმა დაიკავეს ბრაზილიის საელჩო ტოკიოში

ნიუ-იორკი, 11 მარტი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ იაპონელებმა დაიკავეს ბრაზილიის ტოკიოს საელჩოს შენობა. საელჩოს შემადგენლობა მოკლებულია ყოველგვარ კავშირს. იაპონელები მათ ისე ეპყრობიან, როგორც სამხედრო ტყვეებს. ამის გამო ბრაზილიამ ასეთივე ღონისძიება იხმარა იაპონიის ელჩისა და იაპონიის საელჩოს პერსონალის მიმართ.

თურქი ჟურნალისტი თურქეთის წინააღმდეგ გერმანიის „ნერვების ომის" შესახებ

სტამბოლი, 13 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ინი საბაჰის" მთავარი რედაქტორი იალჩინი კომენტარს უკეთებს ბუქარესტის ერთერთი გაზეთის ცნობას იმის შესახებ, რომ „ბერლინის წრეებს იმედი აქვთ, თურქეთი რამდენიმე დღის შემდეგ საბოლოოდ გამოარკვევს თავისი მოქმედების ხაზსაო", და სწერს: „როგორც ვხედავთ, ბერლინის წრეებს არა სურთ, რომ ჩვენ ომის გარეთ, ნეიტრალურნი დავრჩეთ. ისინი მთელ ძალღონეს ხმარობენ, რათა თავიანთ მიზანს მიაღწიონ".

ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანია ცდილობს შეაცდინოს თურქეთი მისთვის სირიის, მოსულისა და ერაყის გადაცემის დაპირებით, აგრეთვე დაპირებით სსრ კავშირის ხარჯზე. იალჩინი აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს ამაოა. „თურქეთი,—სწერს იგი,—ყურს არ ათხოვებდა ამ ჯოჯოხეთურ ცდუნებას და თავს არიდებდა იმას, რომ ავანტიურაში გადაშვებულიყო. თურქეთი არავის არ ეკეკლუცება და არ უცდის შემთხვევას, რომ ემსახუროს იმას, ვინც მეტს მისცემს. ბერლინის წრეები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, ამიტომ უჭირავთ თვალი ჩვენსკენ. ისინი დაპირებებით არაკმაყოფილდებიან და ჰბედავენ ფარული მუქარებითაც კი მოგვმართონ. მაგრამ ჩვენ მოუფიქრებელი მოქმედებისგან დაზღვეული ვართ ჩვენი გამოცდილების, ჩვენი იდეალებისა და პრინციპების ჯავშნით. ბერლინი ფუჭი იმედებისა და მეცადინეობისაგან რომ გავაფრთხილოთ, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: „არ არსებობს ისეთი ძალა, რომ თურქეთის მოქმედების ხაზი შესცვალოს".

დე გოლის ჯარების მოქმედება ცენტრალურ ლიბიაში

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დე გოლის ჯარები, რომლებიც გენერალ ლეკლერკის სარდლობით მიიწევენ წინ ცენტრალურ ლიბიაში, უეცრად თავს დაესხნენ და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ხელთ ჩაიგდეს ღერძის ქვეყნების ავანპოსტი ტენესში (200 მილზე მურზუკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით). თავისუფალი ფრანგების კოლონები ამჟამად იმ რაიონში მოქმედებენ, რომელიც მათი პირვანდელი ბაზიდან—ჩადის ტბის რაიონიდან დაახლოებით 1500 მილზე მდებარეობს. ტენესში ხელთ იგდეს მტრის დოკუმენტები და წამოიყვანეს ტყვეები.

რამდენად არის დაზიანებული გერმანიის სახაზო გემი „შარნჰორსტი"

ლონდონი, 13 მარტი (საკდესი). აეროფოტოსურათზე, რომელიც ინგლისელმა მფრინავებმა გადაიღეს, სჩანს, რომ გერმანიის სახაზო გემი „შარნჰორსტი" თოვლით დაფარული დგას დოკებში. თოვლი ხომალდის მხოლოდ ცხვირის ნაწილს მოაცილეს, რის შედეგად ფოტოგრაფიებზე სჩანს ბომბების მიერ შენგრეული ვეებერთელა ადგილი. წინა საქვემეხო კოშკსა და ცხვირს შორის არსებული დიდი სივრციდან მოხსნილია გემბანის შემონაკერი. ეს შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნას, რომ მოხვედრილმა ბომბმა სულ ცოტა ერთი გემბანი შეანგრია, და, შესაძლოა, თვით წყალხაზსაც მიწვდა. როგორც მიღებული ფოტოგრაფიები მოწმობენ, გერმანიის 3 სამხედრო ხომალდი ბრესტიდან, ალბათ, იმ მიზნით გაიყვანეს, რომ შედარებით უშიშარ პირობებში შეეკეთონ ინგლისის ავიაციის მიერ დაზიანებული ადგილები.

ინგლისში მოაწყეს მასწავლებელთა სემინარები სსრ კავშირის გასაცნობად

ლონდონი, 12 მარტი (საკდესი). ინგლისის განათლების მინისტრმა ბატლერმა განაცხადა, რომ მოეწყო მასწავლებელთა სემინარები საბჭოთა კავშირის გასაცნობად. სემინარები შესდგება 13-დან 16 აპრილამდე ლონდონის და ლონდონის მეზობელი საგრაფოების ყველა ტიპის სკოლების მასწავლებელთათვის. ამ სემინარების მიზანია მასწავლებლებს მიეცეთ ობიექტური წარმოდგენა საბჭოთა კავშირის ცხოვრებისა და კულტურული მიღწევების შესახებ.

რუზველტმა ინდოეთის წარმომადგენელი მიიღო

ნიუ-იორკი, 13 მარტი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, ინდოეთის გენერალური აგენტი ვაშინგტონში ბაჯპაი პირველად ეწვია რუზველტს. პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ბაჯპაიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ინდოეთს გულწრფელად სურს შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა. ბაჯპაიმ იმედი გამოსთქვა, რომ კრიპსის მისიას ინდოეთში წარმატება ექნება.

საზოგადოებრივ სანიტარულ ინსპექტორთა თათბირი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის ინიციატივით 12 მარტს ცეკავშირის კლუბში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრო 700-მდე სანიტარულ-საზოგადოებრივი ინსპექტორი, სახლების რწმუნებულნი და სანიტარული აქტივისტები. მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ინსპექტორმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ფრანგულიანმა გააკეთა მოხსენება საინფექციო დაავადებებთან ბრძოლის შესახებ.

ჩამოთვალა რა საინფექციო დაავადებებთან ბრძოლის მეთოდები (ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია, დეზინფექცია, დეზინსექცია და სხვ.), მომხსენებელი შეეხო საზოგადოებრივ სანიტარულ ინსპექტორთა როლს.

— მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმარტივეს სანიტარულ ღონისძიებათა გატარება გადაუდებელი ამოცანაა, — სთქვა მომხსენებელმა. დიდი როლი უნდა შეასრულონ აქტივისტებმა, რომლებიც წამოყენებული არიან, როგორც საზოგადოებრივი სანიტარული ინსტრუქტორები. მათ ეკისრებათ ჩაბარებული ობიექტების სანიტარული მდგომარეობის შემოწმება, სახლსამმართველოების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ სანიტარული წესებისა და დადგენილებათა დარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ ცნობების მიწოდება სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებისათვის, დახმარების აღმოჩენა მათს მუშაობაში.

თათბირზე მოყვანილ იქნა სანიტარული წესების უხეშად დარღვევის ფაქტები. მაგალითად, ლუნაჩარსკისა და განათლების ქუჩებზე ნაგავი თვეობით არ გააქვთ ეზოებიდან. საერთო სარგებლობის საპირფარეშოები საშინელ მდგომარეობაშია. მეეზოვეები არ ადევნებენ თვალყურს ეზოების სისუფთავეს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 11). ხშირად მდგმურების ბინები ჭუჭყიანია. მათ ოთახებში ჰყავთ ქათმები, ბატები და სხვ. (ჭონქაძის ქუჩა № 4, ქვედა შესახვევი № 2). სანაგვე ყუთებს არ აყრიან ქლორს.

ამხ. ფრანგულიანმა თათბირის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით შესაძლებელია გაჩნდეს ახალი დაავადებანი და აღნიშნა, რა ზომები უნდა იქნას მიღებული მათთან საბრძოლველად. (საქდესი).

საყოველთაო-სამხედრო სავალდებულო სწავლების ესტაფეტა

15 მარტს დამთავრდება საყოველთაო-სამხედრო სავალდებულო სწავლების რესპუბლიკური ესტაფეტა. ამის აღსანიშნავად თბილისის სამხედრო კომისარიატი, საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი აწყობენ საქალაქო ესტაფეტას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საყოველთაო-სამხედრო სავალდებულო სწავლებაში ჩაბმული მებრძოლები და თავდაცვაავიაქიმის ქვეგანაყოფების მებრძოლები.

ესტაფეტას სტარტი მიეცემა ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 15 მარტს, დილის 9 საათზე. ესტაფეტის მონაწილენი გაივლიან 25 კილომეტრ მანძილს ქალაქგარეთ.

მწერალთა კავშირში

შაბათს, 14 მარტს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის დრამსექცია აწყობს დრამატურგ სიმონ მთვარაძის პიესის „მზაკვრობა და ვაჟკაცობა" კითხვას.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

თეატრებში

სახოპერა — 14 მარტს — „სამშობლო", 15 მარტს — „კარმენ". **რუსთაველის სახელობის** — 14 მარტს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", 15 მარტს დილით და საღამოს — „დავა". **მარჯანიშვილის სახელობის** — 14 და 15 მარტს — „მეფე ერეკლე", 15 მარტს დილით — „ურიელ აკოსტა", **მუსიკალური კომედიის** — 14 მარტს — „უჩინ-მაჩინი", 15 მარტს—„როზმარი". **სანკულტურის** — 14 მარტს—„გმირი", 15 მარტს — „სტუმარ-მასპინძლობა".

ლექცია

18 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის აგიტპუნქტის დარბაზში (საბჭოს ქ. № 13) შესდგება აკადემიკოს **ს. ჯანაშიას** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„გერმანიის ფაშიზმის რასიული თეორია".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის აგიტპუნქტში.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2164810, გაცემული თამარ სამსონის-ასულ ტყებუჩავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქდესის გასწორება

„კომუნისტის" 13 მარტის ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებულ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 12 მარტის დილის ცნობაში მეოთხე აბზაცის დასაწყისი უნდა იკითხებოდეს: „ჩვენმა ნაწილმა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის", შემდეგ როგორც ტექსტში.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., დამკვრელი და ლუქსემბურგის სახ.— გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან, **ოქტომბერი** — „მხედრები", — **კომკავშირელი** — „მოკრივეები", **სპარტაკი და 26 კომ. სახ.** — „არტამონოვების საქმე", **კომინტერნი** — „ტანკისტები", **მეცნიერება და ცოდნა** — „ორიოლის" დალუპვა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
15 მარტს
ლ. გოთუა
მეფე ერეკლე
დრამა 4 მოქმ. და 7 სურათად. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
15 მარტისათვის პიესა „მადამ ხან-ჟენ"-ზე აღებული ბილეთები ვარგა
18 მარტისათვის.

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან ჰოსპიტლის უფროსი ექიმის ნ. ი. მუჯირის სიძის, გორის პედინსტიტუტის ლექტორის
ვლადიმერ იულონის-ძე ზუზუშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 7 ს. გამოსვენება 15/III 2 ს. პლეხანოვის პროსპ. № 102. 238

თბილისის „საზკვებტრესტის" თანამშრომლები იუწყებიან
ტარასი ილიას-ძე მირიანაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 7 ს. ობოლაძის ქ. № 18, გამოსვენება 15/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 233

თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის დირექცია და პედპერსონალი იუწყებიან ამავე ტექნიკუმის მასწავლებლის
პარმენ სოლომონის-ძე თოთიბაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 8 ს. ტრამვაის შესახვევი, № 4, დაკრძალვა 15/III 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 234

№ ჰოსპიტლის თანამშრომლები იუწყებიან შ. რაზმაძის სიძის
ნიკოლოზ კაბულაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/III.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ადგილობრივი კომიტეტი იუწყება შ. ი. ჭუმბურიძის შვილის
ქუჯი ჭუმბურიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 7 ს. ვარდისუბნის ქ. № 17, დაკრძალვა 15/III 2 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 242

სამტრედიის სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან
ონოფრე ეპიფანეს-ძე ბალანჩივაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15/III 3 ს. ლენინის ქ. № 183. ქ. სამტრედია. 243

ა.-კ. რკინიგზის სასწავლო კომბინატის თანამშრომლები იუწყებიან ჰ. ს. ქართველიშვილის მეუღლის
ლოლა ივანეს-ასულ ფურცელაძე-ქართველიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/III ქ. სამტრედიაში, გამოსვენება კიროვის ქ. № 57. 235

საქართველოს წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატი იუწყება ინჟინერ
ესტატე ესტატეს-ძე ანთაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/III 8 ს. დაკრძალვა 15/III 2 ს. გამოსვენება ყაზბეგის ქ. № 33. 237

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 5845